კომპიუტერული ტექნოლოგიები

კომპლექსური დავალება

კლასი: II
მიმართულება: – კომპიუტერული ტექნოლოგიები
საათების რაოდენობა: – 5 სთ
სამიზნე ცნება: პირობითი ნიშნები
● პირობითი ნიშნების სისტემის დამოუკიდებლად შემუშავება პროგრამა Word-ის ფიგურებით. ● ერთი კვირის განმაცვლოაში ამინდზე დაკვირვება ● ცხრილის ჩასმა და ინფორმაციის ორგანიზება პროგრამა Word- ში- პირობითი ნიშნების საშუალებით ინფორმაციის გადმოცემა
საკვანძო კითხვები: ● რა არის პირობითი ნიშანი? ● შეგვიძლია თუ არა პირობითი ნიშნების დამოუკიდებლად შექმნა?
კომპლექსური დავალების დასახელება: პირობითი ნიშნები 1. პირობითი ნიშნები არის წინასწარ შემუშავებული ნიშანთა სისტემა; 2. პირობითი ნიშნების საშუალებით შესაძლებელია ინფორმაციის გადაცემა; 3. პირობითი ნიშნების საშუალებით შესაძლებელია წინასწარ შემუშავებული ბრძანებების თანამიმდევრული შესრულება.

კომპლექსური დავალების პირობა:

1. მოახდინეთ ამინდზე დაკვირვება ერთი კვირის განმაცვლოაში
2. მონაცემებს (მიმდინარე დღეების ამინდი) შეუსაბამეთ Word- ის პროგრამაში Shapes - ის შესაბამისი ფიგურა გააფერადეთ და ჩასვით ცხრილში დღეების მიხედვით.

შესრულებულ დავალებაში ნათლად უნდა ჩანდეს:

- მოსწავლე ახდენს ამინდზე დაკვირვებას ერთი კვირის განმავლოაში;
- მოსწავლეს შეუძლია პროგრამა MS Word- ში ფიგურების ჩასმა /დაფორმატება
- მოსწავლეს შეუძლია პროგრამა MS Word- ში ცხრილის ჩასმა;
- მოსწავლეს შეუძლია შექმნას პირობითი ნიშნების გამოყენებით ამინდის შესაბამისი ნახატი;
- მოსწავლეს შეუძლია ერთი კვირის განმავლობაში დაკვირვება მოახდინოს ამინდზე და ყოველი დღის ბოლოს ჩასვას ამინდის შესაბამისი ნახატი ცხრილში.

კომპლექსური დავალების განხორციელების ნაბიჯები (ეტაპები)

ნაბიჯი 1

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა და პროექტზე მუშაობის დაწყება

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- · ბავშვები გაეცნენ კომპლექსური დავალების პირობას.
- · დავგეგმეთ, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის თითოეული ნაბიჯი.
- · განვსაზღვრეთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ვადები
- პირობითი ნიშნები უნდა იყოს მკაფიო და თითო პირობითი ნიშანი აღნიშნავს ერთ კონკრეტულ მოქმედებას;
  - თუკი მოქმედება მეორდება, ერთი და იგივე პირობითი ნიშანი უნდა იყოს გამოყენებული;
  - პირობითი ნიშნები თანამიმდევრულად, მოქმედებების თანამიმდევრობის მიხედვით არის განლაგებული;
  - პირობითი ნიშნები სქემატურია და მოცემულია თითოეულიო პირობითი ნიშანის განმარტება (Shapes ფიგურებით მოცემული უნდა იყოს თითოეული პირობითი ნიშნის გამოსახულება და მას მიწერილი უნდა ჰქონდეს განმარტება წერილობითი სახით).

ნაბიჯის დასახელება (თემა): **კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

- მოახდინეთ ამინდზე დაკვირვება ერთი კვირის განმავლოაში (გაიმეორეთ გაკვეთილი ბუნებაში „ამინდი და ადამიანი“)

- შექმენით
- შექმნილი პირობითი ნიშნების გამოყენებით ყოველი დღის ბოლოს ჩასვით ამინდის შესაბამისი ნახატი ცხრილში.

რესურსი:

- ვებ - გვერდი https://school.emis.ge/Computer-Science/Class-2/conditional-signs-1/1.html
- პროგრამა MS Word
- ინტეგრაცია ბუნების გაკვეთილებთან:

  „ამინდი და ადამიანი“ გვ;21

  „ამინდი და წელიწადის დროები“ გვ:40

ნაბიჯის აღწერა:

- **ნაბიჯის ფარგლებში შესასრულებელი აქტივობა:**
-
- ტემპერატურის საზომი ხელსაწყოების გაცნობა
- გაზომეთ ტემპერატურა საკლასო ოთახში, სახლში, ღია სივრცეში
- შეიტანეთ მონაცემები პროგრამა MS Word- ში

ნაბიჯის ფარგლებში არსებული საკვანძო შეკითხვები:

- რა გაიგე ახალი პირობითი ნიშნების ენის შესახებ?
- შესძელი თუ არა პირობითი ნიშნების მნიშვნელობების ამოკითხვა?
- შესძელი თუ არა პირობითი ნიშნებით ამინდის შესაბამისი ნახატის შექმნა პროგრამა MS Word- ის საშუალებით?
- შესძელი თუ არა ამინდზე დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის ცხრილში ორგანიზება?
- რა გაგიადვილდა და რა გაგიჭირდა?

მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალებები

https://emis188-my.sharepoint.com/:w:/g/personal/dvalishvili_barbar3_students_gov_ge/Ec6Szn-ujlImBGvW6y5Y5IBJOrh1uUdYgsx46drLyw1tg

მასწავლებლის რეფლექსია

დავალებაზე მუშაობისათვის დაგვჭირდა დიდი ძალისხმევა როგორც მასწავლებელს, ასევე მოსწავლეებს.მიმდინარე სასწავლო წელს პანდემიიდან გამომდინარე სკოლა ვერ სარგებლობდა გაკვეთილები მიმდინარეობდა როგორც კლასში, თეორიული მასალის ასახსნელად, ასევე, ინიშნებოდა კლასგარეშე ონლაინ შეხვედრები და იხილებოდა საჭირო თემები. ასევე იმართებოდა ინდივიდუალური ჩართვები მოსწავლეებთან, მათი ინტერესებიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, მუშაობა იყო ძალიან საინტერესო. მოსწავლეები ინტერესით მოეკიდნენ დავალებას. მათ გამოავლინეს დიდი პასუხისმგებლობა და სხვადასხვა თანამშრომლობითი უნარები.

მიზანი, რომელიც დასახული იყო კომპლექსური დავალების სახით მიღწეულია, თუმცა რამდენიმე მოსწავლეს ტექნიკური მხარდაჭერა არ ჰქონდა და მათ შეასრულეს დავალება სმარტფონებში არსებული სხვადასხვა აპებით. მუშაობამ აჩვენა, რომ მოსწავლეებისთვის არა არის ხელსაყრელი საოფისე პროგრამებში ტელეფონით მუშაობა. გაკვეთილების ძლიერ მხარედ შემიძლია დავასახელო თანამშრომლობითი ურთიერთობები, რამაც საბოლოო შედეგამდე მიგვიყვანა.ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კომპლექსურ დავალებას უმრავლესობამ კარგად გაართვა თავი. ჰქონდათ მცირედი უზუსტობები, თუმცა უკუკავშირის მიცემის შემდეგ, მარტივად გამოასწორეს.